

შპს „კონდი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>545086</i>	<i>367302</i>	<i>2124544</i>	
ფულადი სახსრები	203639	120865	587769	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	43380	12707	26480	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	80971	67260	1245284	
მარაგები	215437	151681	99498	3.2
სხვა მიმდინარე აქტივები	1659	14789	165513	3.3
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>5975092</i>	<i>5877455</i>	<i>3143442</i>	
ძირითადი საშუალებები	5970121	5871797	3138396	3.4
არამატერიალური აქტივები	4971	5658	5046	3.5
სულ აქტივები:	6520178	6244757	5267986	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>მიმდინარე ვალდებულებები, სულ:</i>	<i>498999</i>	<i>590756</i>	<i>173160</i>	
სავაჭრო ვალდებულებები	391344	352384	137588	
საგადასახადო ვალდებულებები	85964	35973	7636	
მოკლევადიანი სესხები		150000		
სხვა ვალდებულებები	21691	52399	27936	3.6
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>3658236</i>	<i>4366208</i>	<i>2949531</i>	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3658236	4366208	2949531	3.7
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>2362943</i>	<i>1287793</i>	<i>2145295</i>	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2362943	1287793	2145295	3.8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6520178	6244757	5267986	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2022 წ.

დირექტორი

ირაკლი ბოჭორიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ამონაგები	7006079	5912784	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4536788	-3800044	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2469291	2112740	
მიწოდების ხარჯები	-986911	-730050	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-663663	-796661	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1650574	-1526711	
საპროცენტო შემოსავალი	798	1173	
დადებითი საკურსო სხვაობები	531647	36777	
სხვა შემოსავალი	73537	55956	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	605982	93906	
საპროცენტო ხარჯი	-206618	-141289	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-21538	-885141	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-34706	-28035	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-262862	-1054465	
მოგება დაბეგრამდე:	1161837	-374530	
მოგების გადასახადის ხარჯი	-13003	-72446	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1148834	-446976	3.12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1148834	-446976	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან	1287793	2145295	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-73684	-410526	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2362943	1287793	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემებლად 30.09.2022 წ.

დირექტორი

ირაკლი ბოჭორიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-221515	521576
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-205820	-140116
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-427335	381460
სავალუტო კურსის ეფექტი	510109	-848364
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	120865	587769
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	203639	120865

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2022 წ.

დირექტორი

[Handwritten signature]

ირაკლი ბოჭორიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „კონდი“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „კონდი“				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
მიმდინარე აქტივები, სულ:	545086	367302	2124544	
ფულადი სახსრები	203639	120865	587769	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	43380	12707	26480	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	80971	67260	1245284	
მარაგები	215437	151681	99498	3.2
სხვა მიმდინარე აქტივები	1659	14789	165513	3.3
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	5975092	5877455	3143442	
ძირითადი საშუალებები	5970121	5871797	3138396	3.4
არამატერიალური აქტივები	4971	5658	5046	3.5
სულ აქტივები:	6520178	6244757	5267986	
ვალდებულებები და კაპიტალი				
მიმდინარე ვალდებულებები, სულ:	498999	590756	173160	
სავაჭრო ვალდებულებები	391344	352384	137588	
საგადასახადო ვალდებულებები	85964	35973	7636	
მოკლევადიანი სესხები		150000		
სხვა ვალდებულებები	21691	52399	27936	3.6
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	3658236	4366208	2949531	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3658236	4366208	2949531	3.7
სულ კაპიტალი:	2362943	1287793	2145295	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი				
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2362943	1287793	2145295	3.8
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6520178	6244757	5267986	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2022 წ.				
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს „კონდი“			
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება			
ერთეული: 1 GEL			
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ამონაგები	7006079	5912784	3.9
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4536788	-3800044	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2469291	2112740	
მიწოდების ხარჯები	-986911	-730050	3.10
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-663663	-796661	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები:	-1650574	-1526711	
საპროცენტო შემოსავალი	798	1173	
დადებითი საკურსო სხვაობები	531647	36777	
სხვა შემოსავალი	73537	55956	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	605982	93906	
საპროცენტო ხარჯი	-206618	-141289	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-21538	-885141	
გაუთვალისწინებელი ხარჯები	-34706	-28035	
ზარალი ძირ. საშ. რეალიზაციიდან			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-262862	-1054465	
მოგება დაბეგვრამდე:	1161837	-374530	
მოგების გადასახადის ხარჯი	-13003	-72446	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	1148834	-446976	3.12
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	1148834	-446976	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან	1287793	2145295	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-73684	-410526	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2362943	1287793	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2022 წ.			
დირექტორი _____ ირაკლი ბოჭორიშვილი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „კონდი“		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-221515	521576
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-205820	-140116
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-427335	381460
სავალუტო კურსის ეფექტი	510109	-848364
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	120865	587769
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	203639	120865
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2022 წ.		
დირექტორი _____	ირაკლი ბოჭორიშვილი	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კონდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404497914, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გ. რჩეულიშვილის ქ., კორ. 4, ბ. 12. ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია. კომპანიის საფირმო სახელწოდებაა „საკონდიტრო ბელა“. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 2 სექტემბრიდან.

1.2. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954) - 50%.

ბექა ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017016820) - 50%.

1.3. კომპანიის დირექტორია ირაკლი ბოჭორიშვილი (პ/ნ 01017011954)

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არახანგრძლივი შენახვის საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და რეალიზაცია.

1.5. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიას დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 82 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით;

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით.

არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის

გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 6-7 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები,

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021		ნაშთი 31.12.2020		ნაშთი 31.12.2019
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	133020.58		69885.08		69932.09
მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	70618.73		50979.49		517836.80
	203 639		120 865		587 769

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021		ნაშთი 31.12.2020		ნაშთი 31.12.2019
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
საქონელი	40471		17638		12602
ნედლეული და მასალები	168171		133402		86634
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	6794		642		261
	215437		151681		99498

სხვა მატერიალური მარაგები შედგება საწვავისაგან.

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2021		ნაშთი 31.12.2020		ნაშთი 31.12.2019
	(ლარი)		(ლარი)		(ლარი)
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	15		13 415		138
წინასწარ გადახდილი გადასახადები	955		1 374		163 321
საპენსიო სააგენტოში წინასწარ გადახდილი თანხები	689				2 055
	1 659		14 789		165 513

3.4. ძირითადი საშუალებები:

	მიწის ნაკვეთები (ლარი)	დაუმთავრებელი მშენებლობა (ლარი)	შენობები	ოფისის აღჭურვილობა (ლარი)	სატრანსპორტო საშუალებები (ლარი)	კომპიუტერული ტექნიკა (ლარი)	სხვა ძირითადი საშუალებები (ლარი)	სულ (ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	0	4451654	12230	96683	7698	640112	5871797
დამატება		184322	109109	6729	85792	21688	317371	725011
შემცირება		184322						184322
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი			181519	4168	53385	5178	197082	441332
ჩამოწერა-gas v l a							1033	1033
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	663421	0	4379244	14791	129090	24207	759368	5970121

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბიოლოგიური აქტივების ღირებულება შეადგენს 3764 ლარს.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 907195 ლარი;

3.5. არამატერიალური აქტივები:

	პროგრამული უზრუნველყოფა (ლარი)	სულ (ლარი)
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5658	5658
დამატება		0
შემცირება		0
ცვეთის და მორტიზაციის ხარჯი	687	687
ჩამოწერა		0
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4971	4971

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა: 2021 წლის ბოლოს - 3198 ლარი;

3.6. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2021 (ლარი)		ნაშთი 31.12.2020 (ლარი)		ნაშთი 31.12.2019 (ლარი)
თანამშრომლების მიმართ ვალდებულება	194		25 501		27 803
მიღებული ავანსები	0		0		133
იჯარის მომწოდებლების მიმართ ვალდებულება	21 497		25 645		0
საპენსიო სააგენტოს მიმართ ვალდებულება	0		1 253		0
	21 691		52 399		27 936

3.7. გრძელვადიანი სესხები:

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხები ევროში სს თიბისი ბანკიდან: 1 000 000 ევრო და 120 000 ევრო, რომლის მიზნობრივი დანიშნულება საწარმო და საოფისე შენობის აშენება და კეთილმოწყობა.

2021 წელს კომპანიან დამატებით აიღო 225 000 ლარის სესხი.

	ნაშთი 31.12.2021 (ლარი)		ნაშთი 31.12.2020 (ლარი)
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabamisi kurs iT l ar Si)	3093105		3908423
გრძელვადიანი სესხი ევროში სს თიბისი ბანკი (Sesabamisi kurs iT l ar Si)	346700		457785
გრძელვადიანი სესხი ლარში სს თიბისი ბანკი	218431		
	3 658 236		4 366 208

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2021 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები შედგებოდა წარმოებული საკონდიტრო ნაწარმის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლებიდან და საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლიდან.

	2021		2020
	(ლარი)		(ლარი)
ამონაგები წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან	6 623 960		5 617 206
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	382 119		295 578
	7 006 079		5 912 784

	2021		2020
	(ლარი)		(ლარი)
წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება;	4 248 865		3 558 347
საქონლის თვითღირებულება	287 923		241 697
	4 536 788		3 800 044

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს:

	2021 წ.
	(ლარი)
ნედლეულის და მასალების ხარჯი	3 007 924
წარმოებაში დასაქმებულთა ხელფასის ხარჯი	680 007
საწარმოო შენობის და დანადგარების იჯარის ხარჯი	50 847
კომუნალური დანახარჯები	187 481
წარმოების ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	293 851
სხვა ხარჯი	28 755
	4 248 865

3.10. მიწოდების ხარჯები

	2021		2020
	(ლარი)		(ლარი)
ხელფასები (კონსულტანტები და მძღოლები)	281 214		225 690
ავტომობილების საწვავის ხარჯი	50 781		27 933
კომუნალური ხარჯი (მაღაზიები)	74 731		51 583
მაღაზიების იჯარის ხარჯი	477 939		386 975
ძირ. საშუალებების ცვეთა	70 248		125 971
ავტომობილების რემონტის ხარჯი	16 636		14 487
მიწოდების სხვა ხარჯები	15 363		22 876
	986 911		855 516

3.11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2021		2020
	(ლარი)		(ლარი)
ხელფასის ხარჯები (ადმინისტრაცია)	326 633		378 086
საიჯარო ქირა	13 725		5 625
კომუნალური ხარჯები	1 743		505
საკანცელარიო ხარჯები	8 012		4 353
კომუნიკაციის ხარჯები	13 075		7 326
საკონსულტაციო ხარჯები	1 913		-
ცვეთა/ამორტიზაცია	77 920		101 507
საგადასახადო ხარჯები (გონების გადასახადი)	53 165		49 891
საბანკო ხარჯები	38 163		26 596
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯები	18 660		4 355
სხვა ხარჯები	110 655		92 950
	663 663		671 195

3.12. დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება

კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2021 წლის ბოლოს შედგება 2018-2021 წელს მიღებული მოგებიდან. 2021 წელს კომპანიას ქონდა მოგება **1 148 834** ლარი. ასევე ქონდა განაწილებული წინა წლის მოგების ნაწილი (დივიდენდი) -73 684 ლარი, რომლის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა - 13 003 ლარი.

3.13. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2022 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2021 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.